მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თაობაზე

თარიღი:	10 ნოემბერი, 2025
სესხის N და დასახელება:	3982-GEO წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა
კონტრაქტის N და დასახელება:	EQ-2 - ოპერირებისა და ექსპლუატაციის ტექნიკა (ლოტები N: 4, 8, 9 და 10)
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	2025 წლის 22 დეკემბერი 15:00 (თბილისის დრო)

1. საქართველოს მთავრობამ, „წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამის დაფინანსების“ ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო სესხი. მიღებული სახსრების ნაწილის გამოყენება იგეგმება ზემოხსენებული კონტრაქტების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემსყიდველი) იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად ერთ ან რამოდენიმე ლოტის კომბინაციაზე. ლოტების ჩამონათვალია:

- ლოტი 4 – EQ2/ლოტი 4 – 19 ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა (მსხვილი);
- ლოტი 8 – EQ2/ლოტი 8 – 1 ლაფეტის შესყიდვა;
- ლოტი 9 – EQ2/ლოტი 9 – 2 ამწე კალათის შესყიდვა;
- ლოტი 10 – EQ2/ლოტი 10 –1 საწყობის დამტვირთველის შესყიდვა.

3. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდება „აზიის განვითარების ბანკის“ შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით, ე.წ. „ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი“ ტენდერის (https://www.adb.org/business/how-to/what-bidding-procedures-are-used-adb-financed-projects) ფარგლებში და ღიაა ყველა პრეტენდენტისათვის უფლებამოსილი ქვეყნებიდან, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.

4. მხოლოდ უფლებამოსილ პრეტენდენტებს, ვინც აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტებში მოცემულ შემდეგ საკვანძო საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, შეუძლიათ ტენდერში მონაწილება[1]:

[1] თუ პრეტენდენტი წარმოადგენს სატენდერო წინადადებას 2 ან მეტი ლოტზე, მოთხოვნები შესაბამისად დაჯამდება. მონაწილეობის უფლებისა და კვალიფიკაციის შესახებ სრული მოთხოვნები მოცემულია სატენდერო დოკუმენტებში.

- **საკონტრაქტო გამოცდილება:**

გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში, მთავარ მომწოდებლად, შემდეგი ღირებულების კონტრაქტების წარმატებით შესრულება:

ლოტი 4: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 1,600,000.00
ლოტი 8: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 60,000.00
ლოტი 9: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 160,000.00
ლოტი 10: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 40,000.00

კონტრაქტის საგანი და სირთულე უნდა იყოს მე-6 ნაწილში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მისაწოდებელი საქონლის მსგავსი:

- **ტექნიკური გამოცდილება**

ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს, რომ შემოთავაზებული საქონელი ბოლო 3 წლის მანძილზე წარმოებაში და ექსპლუატაციაში იყო, მინიმუმ შემდეგი ოდენობით:

- ლოტი 4: 19 ექსკავატორ-დამტვირთველი (დიდი)
- ლოტი 8: 1 ლაფეტი
- ლოტი 9: 2 ამწე კალათი
- ლოტი 10: 1 საწყობის დამტვირთველი

- **წარმოების სიმძლავრე**

მონაწილემ ან მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს, რომ მათ შესწევთ უნარი უზრუნველყონ მეექვსე სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი რაოდენობის, ტიპის და ზომის საქონლის მოწოდება.

- **ისტორიული ფინანსური მაჩვენებლები:**

აუდირებული ფინანსური ანგარიშების ან, თუ პრეტენდენტის ქვეყნის კანონი ამგვარად არ მოითხოვს, შემსყიდველისთვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა გასული **სამი (3) წლის (2022, 2023 და 2024 ფინანსური წლები)** შესახებ, რათა პრეტენდენტმა დაადასტუროს ფინანსური მდგომარეობის გამართულობა. როგორც მინიმუმ, პრეტენდენტის გასული წლის წმინდა მოგება რომელიც გამოითვლება ვალდებულებებისა და აქტივების სხვაობით, უნდა იყოს დადებითი.

- **საშუალო წლიური ბრუნვა:**

მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა, რომელიც გამოითვლება გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გადახდებით.

თითოეული ლოტისათვის მოთხოვნილი საშუალო წლიური ბრუნვა შემდეგია:

ლოტი 4: USD 4,000,000.00

ლოტი 8: USD 150,000.00

ლოტი 9: USD 400,000.00

ლოტი 10: USD 100,000.00

5. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ:
   შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
   ქ-ნ ეთერ ფირანიშვილი და/ან ქ-ნ ია მაზანიშვილი
   მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 5/7
   სართული/ოთახის ნომერი: პირველი სართული
   ქალაქი: თბილისი
   ZIP კოდი: 0186
   ქვეყანა: საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 291 90 60
   ფაქსი: (995 32) 22 00 36
   ელექტრონული ფოსტის მისამართი: info.procurement@water.gov.ge
   ასლი: e.piranishvili@water.gov.ge; i.mazanishvili@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტები გაიცემა ელექტრონული ფორმით მე-5 პუნქტში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

7. წარმოადგინეთ სატენდერო წინადადებები:

- ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღში ან ამ თარიღის ამოწურვამდე: 2025 წლის 22 დეკემბერს 15:00 (თბილისის დრო)
- სატენდერო წინადადების გარანტიით/გარანტიის შესახებ განცხადებით სატენდერო დოკუმენტების შესაბამისად.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება წინადადებების ჩაბარების ვადის ამოწურვიდან დაუყოვნებლივ, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ გახსნაზე დასწრებას.

8. შემსყიდველი არაა პასუხისმგებელი ხარჯებზე, რომლებიც პრეტენდენტებმა გაიღეს სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად ან ჩასაბარებლად.